ნონა პოპიაშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სპეციალისტი (ინგლისური)
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მასტერკლასის თემატიკა: „ინგლისური ენისა და საგნის ინტეგრირებულად სწავლება“.

უცხოური ენის სწავლებისას სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ ენისა და საგნის ინტეგრირებულად სწავლების მეთოდს.

უცხოური ენის ამგვარად სწავლებას ბევრი დადებითი მხარე აქვს, მათ შორის:

- ენის შესწავლა უფრო საინტერესო ხდება. იზრდება მოსწავლეთა მოტივაცია. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ენა რეალური მიზნის განხორციელებისთვის გამოიყენონ, რაც მათ დამოუკიდებელ და თავდაჯერებულ პიროვნებებად აქცევს.
- მოსწავლის თვალსაწიერი და ცოდნა სამყაროს შესახებ ფართოვდება, რაც დადებითად აისახება მის ზოგადსაგანმანათლებლო საჭიროებებზე.
- მოსწავლეს შეუძლია ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან მოიპოვოს, შეაფასოს, მოახდინოს ცოდნის სტრუქტურიზაცია. ეს ყველაფერი კი მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას განაპირობებს და ეხმარება მოსწავლეს სხვა საგნების უკეთ შესწავლაში.
- ჯგუფური სამუშაოს ელემენტის ჩართვა მოსწავლეებს თანამშრომლობით სწავლის უნარს უვითარებს, რაც სოციალური ღირებულებების განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

შეთავაზებულ მასტერ კლასში, "ინგლისური ენისა და საგნის ინტეგრირებულად სწავლება", განხილული იქნება ინტეგრირებული სწავლების არსი, გაანალიზდება მოდელი, რომლის მიხედვითაც უნდა დაიგეგმოს და ჩატარდეს ინტეგრირებული გაკვეთილები. მასტერკლასს ექნება ინტერაქტიული სამუშაო ფორმატი, რათა უზრუნველყოს მონაწილეთა მაქსიმალური ჩართულობა შეხვედრაში, განსახილველი საკითხების სიღრმისეული გააზრება და პრაქტიკული გავარჯიშება.
მასტერკლასი განკუთვნილია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის.

მასტერკლასის შედეგად მონაწილეები შეძლებენ:

1. გაიაზრონ ენისა და საგნის ინტეგრირებულად სწავლების არსი და მნიშვნელობა და დაუკავშირონ ის საკუთარ სასწავლო პროცესს;
2. დაგეგმონ ინტეგრირებული გაკვეთილი ოთხსაფეხურიანი მოდელის ძირითადი მახასიათებლებისა და პრინციპების გათვალისწინებით.
3. დაგეგმონ ინტეგრირებული გაკვეთილი კომუნიკაციური მიმართულებების (კითხვა, მოსმენა, წერა, ლაპარაკი) სწავლების თავისებურებების გათვალისწინებით.
4. შეარჩიონ ავთენტურ შეფასება სასწავლო მიზნების შესაბამისად და გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების ტექნიკა.
5. გამოიყენონ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ელექტრონული რესურსები ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვისა და წარმართვისას.

მასტერ კლასის მიზნობრივი ჯგუფი: ინგლისური ენის მოქმედი მასწავლებლები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის)
მსმენელთა რაოდენობა: 20 მსმენელი

მასტერ კლასის ხანგრძლივობა: 4 საათი.